

გამომცემელი და
დირექტორი,
მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია -
599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი
ივეტა პაჭკორია -
568 61 04 41

დისტრიბუციის
სამსახური
მარი ალიხანაშვილი
551 122 570-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია -
579 241 122

მარი ალიხანაშვილი
(ფოტო)
551 122 570

ივეტა პაჭკორია
(ხობი)
568 61 04 41

გამოქვეყნებული
მასალის შინაარსი
შეიძლება არ
ემთხვეოდეს
რედაქციის
თვალსაზრისს. სტა-
ტიის ავტორები თა-
ვად აკებენ პასუხს
ინფორმაციის
სიზუსტეზე.
რედაქციაში აუდიო
მასალები ინახება
ორი კვირის
განმავლობაში, ამ
ვადის გასვლის
შემდეგ პრეტენზიები
არ მიიღება.

**ბამოქმედიკაშული
მასალების
ბადაბჟღვრა
რედაქციის
ნებართვის
ბარშში
აპრძალულია.**

2014 წლის ბო-
ლოდან 20 %
-ით გაუფასურდა
ეროვნული ვალუტა.
როგორც ეროვნულ-
ლი ბანკის პრე-
ზიდენტი გიორგი
ქადაგიძე აცხადებს
ვალუტის კურსის
ვარდნა მყარია.



და ზღრულ ნიშ-
ნულს არ ცილდე-
ბა. გასულ წელს
23 %-ით გაიზარდა
ქვეყნის მიმოქცე-
ვაში არსებული
ფულის რაოდენო-
ბა. ერქვერტების
აზრით მთავრობა
ხედმეტ ფულს
ბეჭდავს, რაც ინ-
ფლაციის მიზეზია.
მიმდინარე წლის
იანვარში დოლარ-
ის მიმართ ლა-
რის კურსი ყოველ-
დღიურად იცვლება
და მაღლა მიიწევს.
ბოლო დღეების
მონაცემებით ერთი
ამერიკული დოლარ-
ი - 2,4 ლარზე
მეტია, ერთი ევრო
- 2,7 ლარი, ერთი
თურქული ლირა -
0,78 ლარი.

ჩხოროწყუე სკუთარი დღესასნაული იზეიმა

**მარიამ ჯავახია
ჩხოროწყუე**

ჩხოროწყუეს მუნიციპალიტეტში სა-
ხალხო ზეიმი „ჩხოროწყუეობა –2015“
აღნიშნეს. სახალხო დღესასწაული
„უჩუეულო ხალხმრავლობით გამოირჩე-
ოდა. ზეიმი მუნიციპალიტეტის გამგე-
ბელმა დათო გოგუამ გახსნა და ადგი-
ლობრივებს „ჩხოროწყუეობა“ მიულოცა.
დღესასწაულზე ოფიციალურად გაიხს-
ნა ლაშა გახარიას რეაბილიტირებული
სახლ-მუხუეუმი მუხუერში, ახალი სა-
ბავშვო ბაღი გარახაში და საქალაქო
ბიბლიოთეკა დაბაში.

სახალხო დღესასწაულის აღნიშვნა
ჩხოროწყუეს უღამაზეს სოფელ მუხუერ-
იდან ჟურნალისტის, პოეტის ლაშა გახა-
რიას რეაბილიტირებული სახლ-მუხუე-
უმის გახსნით დაიწყო. სახლ-მუხუემის
შესასვლელშივე შემოგვებებათ თა-
ვად დიდი პოეტის ლექსიდან ამონარი-
დი „პოეტი მაინც ერთი ლექსია, ობლის
ცრემლივით ცამდე მართალი“. თანამე-
დროეები დიდი სიყვარულით და პატი-
ვისცემით იხსენებდნენ ლაშა გახარია-
ს: „ლაშა გახარია ჩხოროწყუეულს
თავისი „წონდა“ პოეზიით სიამაყის,
თავმოწონების უფლება მისცა“. სახლ-
მუხუემის რეაბილიტირების გამო მად-
ლობა გამოხატა ლაშა გახარიას მეუღ-
ლემ როზა ბერიკაშვილმა.

სახლ-მუხუემის გახსნის შემდეგ სტუმ-
რებმა გარახის ახალი საბავშვო ბაღის
გახსნის ცერემონიაზე გადაინაცვლეს.
ახალი თანამედროვე სტანდარტების
მქონე საბავშვო ბაღი 50 ადსაზრდელ-
ზეა გათვლილი და აღჭურვილია ყვე-
ლა საჭირო ინვენტარით. ბაღი საზეიმო
ვითარებაში სამეგრელო-ზემო სვანეთ-
ში სახელმწიფო რწმუნებულ - გუბერ-
ნატორმა ლევან შონიამ, მდებარეობს
„ეტალონის“ ავტორმა და წამყვანმა
გონა ტყეშელაშვილმა და ადგილობრი-
ვი ხელისუფლების წარმომადგენლებმა
გახსნეს.

მუნიციპალიტეტის ცენტრში მთელი
დღის განმავლობაში სხვადასხვა კულ-
ტურული ღონისძიებები მიმდინარეობ-
და, ყველა სოფლის წარმომადგენლებს,
საჯარო სკოლებსა და სხვადასხვა ორ-
განიზაციებს მეგრული ყოფის ამსახ-
ველი ეთნოგრაფიული კუთხეები ქონ-
დათ მოწოდებდა, ასევე წარმოდგენილი
იყო მეგრული სამზარეულო. სახალხო
დღესასწაული დატვირთული გახლდათ
სხვადასხვა ღონისძიებებით - წარ-
მოდგენილი იქნა ხელოვანთა ნამუშე-
ვარების გამოფენა-გაყიდვა, ჩატარდა
კონცერტი ადგილობრივი შემოქმედე-



ბოთი ჯგუფების მონაწილეობით, გაიმარ-
თა სპორტული ღონისძიებები - შეჯი-
ბრება ბლიც ჭადრაკში, ქართულ ნარდში
მუნიციპალიტეტის პირველობა ქართულ
ჭიდაობაში, მკლავჭიდსა და ჩოგბურთში.
გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დი-
პლომებით, მედლებით და ფულადი პრიზე-
ბით. ზეიმის დასასრულს ჩხოროწყუეს სა-
პატიო მოქალაქის არჩევის დროც დადგა.
ეს საპატიო წოდება მიენიჭათ: მუხუემის
მეცნიერ - თანამშრომელ ივანე ფინაიას
პედაგოგ ნანული წურწუმიას, ექიმებს
ოთარ ქვარცხავასა და ვაკონა ჩარხა-
ლიას, მედიკოსებს „ეტალონის“ წამყვან
გონა ტყეშელაშვილს, პოეტ ნოდარ ჯა-
ლაღონიას. ბიზნესმენს, ქველმოქმედობით
ცნობილ გოგიბერაძეს, ქორეოგრაფ ინ-
დიკო (ანატოლი) ოკუჯავას, სპორტსმენს
ტანმოვარჯიშე როზა ბერიკაშვილს.
საპატიო ჩხოროწყუელებს გადაეცათ სპე-
ციალური სიგელები და ფასიანი საჩუქრე-
ბი. ღონისძიებაზე ღირსების ორდენით
დაჯილდოვდა დეკანოზი პედაგოგი
ნაზი წურწუშია.

საკუთარი მუნიციპალიტეტის დღე-
სასწაულის ასეთი აღნიშვნა ძალიან
მოეწონათ ჩხოროწყუელებს. ისინი აღფ-
თოვანებან ვერ მალავდნენ ტრადიციის გა-
გრძელების გამო. როგორც მოქალაქეებმა
გვითხრეს, მსგავსი ტრადიციული ღო-
ნისძიებები უნდა არსებობდეს და მოხა-
რულნი არიან, რომ წლების წინ შეწყვეტი-
ლი ტრადიცია აღდგა. მანანა ფარცვანი:
„ბედნიერი ვარ, რომ ჩემს საყვარელ რა-
იონში ისევ ტარდება წლების წინ შეწყვე-
ტილი სახალხო ზეიმი. მადლობა მინდა
გადავუხადო ამ ზეიმის ორგანიზატორებს
ყველაფერი ძალიან კარგად და ლამაზად
გაკეთდა. ადამიანებს ჭირდებოდა ზეიმი
დღეს ყველას გადაავიწყდა პრობლემა-
ბი. ყველა ბედნიერია, ერთმანეთი უყვართ.
ნამდვილად უნდა გაგრძელდეს ეს ტრადი-
ცია, ამაში ყველა ჩხოროწყუელი დამე-
თანხმება“.

სახალხო ზეიმი გალა კონცერტითა და
ფიერვერკით დასრულდა.



ფოთის საბავშვო ბაღები ზამთარს მოეზადებული სკლებიან

**მარიამ ალიხანაშვილი
ფოთი**

წლების განმავლობაში ზამთარში საბავშვო ბაღებში
გათბობასთან დაკავშირებით პრობლემები არსებობდა,
მშობლებისგან კრებდნენ შემოსევს შესაძენ ფულს და,
შესაბამისად, ეს მშობლების უკმაყოფილებას იწვევდა.
ეს საკითხი ჩვენ გაზეთსაც არაერთხელ გაუშუქებია,
რადგან სწორედ აღშფოთებული მშობლები ჩვენთან
ეკებდნენ პრობლემის აღმოფხვრის გასაღებს.

როგორ ემზადებიან საბავშვო ბაღები ზამთრისთვის
და რა მდგომარეობაა წელს გათბობის მხრივ, ამის
გახსარკვევად „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესე-
ბულების გაერთიანების“ უფროს მარგო ჯანიაშვილს
მივმართეთ. როგორც მან გვითხრა, წელს ჯერჯერო-
ბით მხოლოდ ორი ბაღია გაზიფიცირებული მე-3 და
მე-7 საბავშვო ბაღები და დაცულია გათბობის ტემ-
პერატურა. მასწავლებლები, მშობლებიც და ბავშვებიც
კმაყოფილები არიან: „წვენი პრობლემები, ყველა სა-
ბავშვო ბაღში გაზიფიცირებული, ამაზე ვმუშაობთ და
ვადგენთ, რა დაჯდება ეს ყველაფერი. მე-7-ე საბავშვო



ბაღში, რომლის სრული რეაბილიტაცია მოახდინა მუ-
ნიციპალიტეტმა, გაზიფიცირებულია, ბავშვები ამ ბაღ-
ში იქნებიან სუფთად და თბილად. დანარჩენი ბაღები
შეშით მომარაგდება, დახერხვა და დაჩხვრა შედის იმ
560 ლარში, რაც ტენდერითა განკუთვნილი. ყველგან
დავდეთ შემოსევს ღუმელები და ახლა მიდის მიღების
დამატებითი სამუშაოები, ჩვენ ავიყვანეთ მუშა, რო-
მელიც ყველა საბავშვო ბაღს მიაქცევს ყურადღებას,
ხოჯავერ ქარის დროს კვლავ სცილდება მილი და
ოთახებში კვამლია, ეს რომ არ მოხდეს, ამას მოავგა-
რებს. ეს პრობლემა ყველა საბავშვო ბაღში მოგვა-
რებულია და მშობლებს არ უწევთ არანაირი თანხის
შეგროვება. 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილ-
ვა მიდის და ვნახავთ, რამდენს დაგვიმტკიცებენ, ამის
მიხედვით ფიქრობთ დაახლოებით 3 საბავშვო ბაღი
გავარემონტოთ და მოხდეს გაზიფიცირება. პირველი
რიგში ის ბაღები გაზიფიცირდება, რომელიც იაპონიის
საბჭოს მიერ გაკეთდა და ჩაისვა ახალი ფანჯრები,
უფრო შეკრული ბაღებია - 1, მე-6 და მე-16 საბავშვო
ბაღები. ორ წელში ალბათ ყველა ბაღში მოვახერხებთ
გაზიფიცირებას“.

რამდენიმე ბაღის პედაგოგმა ჩვენთან საუბარში აღ-
ნიშნა, რომ დაუდგეს ღუმელები, მიუტანეს მუშა, დაუ-
ხერხეს და დაუჩხვრეს კიდევ. როგორც ვნახეთ და
გავარკვიეთ, ზამთრისთვის ბაღებში მზადება უკვე დას-
რულებულია და ჩვენს შვილებს თბილად მოუწევთ
ყოფნა.

ახლად რეაბილიტირებული მე-7-ე საბავშვო ბაღიც
დავითვალდებურეთ და პედაგოგები გამოხატავენ უდიდეს
აღფრთოვანებას და კმაყოფილებას. ერთადერთი რაც
არ მოსწონთ, ისაა, რომ დარბაზი ცოტა პატარაა, მა-
გრამ როგორც გვითხრეს, გაერთიანების ხელმძღვანე-
ლი დაპირდა მათ დარბაზის გადიდებას.

არაპროფიტული ბიზნესი თუ მწარმოებელი და სპორტსმენების პირობების გასაუმჯობესებლად მოფიქრებული გაერთიანება? რატომ ენიშნავენ სპორტსმენებს ხელმძღვანელები სკოლების რეორგანიზაციას?

ინტერვიუ

ფოტოში სპორტული სკოლებისა და კლუბების რეორგანიზაცია და ოპტიმიზაცია იგეგმება. აღნიშნული პროექტი ორჯერ გადაეცა საკრებულოს განახლებულად, მაგრამ ახრთა სხვადასხვაობის გამო ვერ დამტკიცდა. სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მიაჩნია ჩხარტიშვილი როგორც ამბობს, ამ სფეროში სრული ანარქიაა და სპორტული სკოლების გაერთიანება მწვერთვებისა და სპორტსმენების პირობების გასაუმჯობესებლად ხდება. როგორც აღმოჩნდა, სხვა მრავალ პრობლემასთან ერთად, კომუნიკაციის არარსებობაცაა.

ჩხარტიშვილის განმარტებით, სპორტული სკოლებში თანხები ბიუჯეტიდან მიზნობრივად მიდიოდა, მაგრამ არ ხდებოდა მონიტორინგი. სრულიად საპირისპიროს ამბობენ სპორტული სკოლების ხელმძღვანელები. მათი თქმით, ეს სისტემა დაანგრევს ისედაც მიმდინარე პრობლემებს. ამ პროექტზე სასაუბროდ სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მიაჩნია ჩხარტიშვილს მიემართა.

თეთ: „უნდა ვითხრათ, რომ დღეისათვის ეს სფერო დასაგეგმელია. ჩემი აზრით, ამ სფეროში სრული ანარქიაა. ჩვენ აღნიშნულ პროექტზე მერიასთან ერთად ვმუშაობთ. ვფიქრობ, რეორგანიზაციის შედეგს პირველ რიგში იგრძნობენ მწვერთვები და სპორტსმენები. თანხები მიზნობრივად დაიხარჯება სპორტის განვითარებისა და მოზარდისათვის მაქსიმალური პირობების შესაქმნელად. გაერთიანება ეფუძნება თავისი თანამშრომლები, ერთი პასუხისმგებელი პირი. კომუნიკაციაც მეტი იქნება და ცამეტი სკოლის დირექტორთან ცალ-ცალკე ურთიერთობების დალაგება საჭირო არ გახდება. გასაგებია, რომ მტკივნეული თემაა, მაგრამ ეს ჩემი პოზიციაა და მას არ გადავუხვევ. სამწუხაროა, მაგრამ ამ პროექტს უკვე პეკავს მოწინააღმდეგეები“.

დღეისათვის ქალაქში 13 სპორტული სკოლაა, გაერთიანების გარეშე რჩება შპს „კოლხეთი“ და ხელბურთის სპორტული სკოლა, რადგან ხელბურთის ფედერაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ხელბურთის სკოლის დამოუკიდებლობის შემთხვევაში, ფედერაციას იღებს ყოველგვარ ვალდებულებას და დაფინანსებას



საკუთარ თავზე. მიმდინარე წელს ხელბურთის სკოლა 50 000 ლარით დაფინანსდება, მომავალ წელს კი ამ სკოლის ბიუჯეტი 100 000 ლარით განისაზღვრება. ამ ორის გარდა, დანარჩენი სკოლების გაერთიანება იგეგმება. საუბარი ეხება იმ შტატებს, რომელთა რეორგანიზაცია და ოპტიმიზაცია შესაძლებელია. სკოლის დირექტორთა უკმაყოფილებას ჩხარტიშვილი საბოტაჟურ უწოდებს: „მათ აქვთ ზოგადი საბოტაჟური არგუმენტები და ყველა არგუმენტზე, რა თქმა უნდა, პასუხი გააჩნია. მათი არგუმენტი, რომ გაერთიანება შეაფერხებს სპორტის რომელიმე

სახეობის განვითარებას, ჩემთვის დამაჯერებელი არ არის. მეორე არგუმენტი, რომ თურმე სპორტის სამინისტროს მიერ კალენდარული გეგმის შეცვლის შემთხვევაში, დონისძიებებისათვის მომზადებას ვერ მოასწრებენ, აბსურდული არგუმენტია. ძირითადად, ეს არგუმენტები სკოლის დირექტორებს მოჰყავთ. გარკვეულ ფედერაციებთან მქონდა შეხვედრები და ვიცი, რომ ორი კვირით ადრე ხდება ცვლილებების მიწოდება. დარწმუნებული ვარ, მწვერთვები მოხარული იქნებიან ამ ცვლილებებისა, რადგან ზოგ სკოლაში საქმეთა მმართველს მწვერ-

ნელზე უფრო დიდი ხელფასი აქვს“. სკოლების უმრავლესობაში მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, არ არის სველი წვრილები, ასევე მოზარდის შესაფერისი პირობები. პროექტის ხელმძღვანელობის თქმით, გამოთავისუფლებული თანხები სწორედ რომ მოხმარდება სკოლების კეთილმოწყობას. მარტო სპორტული სკოლების დაფინანსება 1 00 0200 ლარია დონისძიებების გარეშე. დღეისათვის ქალაქში ხელბურთის, კრივის და ნიჩბოსნობის სპორტული კლუბები არსებობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ვიქტორ კრატასიუკის

დასასრული 4- 33.

რატომ ვერ მოხერხდა ამდროულად გუმბათის შეკეთება?

რამონტული გუმბათი, აბრასიული მოხინაღრეხი და უმოქმედო ქალაქის მისკვერები

ინტერვიუ

ქალაქის ცენტრში, რუსთაველის რკალზე საცხოვრებელი სახლის გუმბათის კედელი უკვე მეორეჯერ ჩამოინგრა. გუმბათი რამდენიმე წლის წინ, წინა ხელისუფლების დროს ფასადის გალამაზების მიზნით დაიდგა. თუმცა, დღეს როგორც მობინადრეების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლებისათვის მოუგვარებელ თავის ტკივილად იქცა. მობინადრეების თქმით ადგილობრივი ხელისუფლება არაფერს აკეთებს პრობლემის მოსაგვარებლად. მათივე თქმით, ისინი უკვე დაიღალნენ წერილების წერითა და სხვადასხვა სამსახურებში პრობლემის მოგვარების თხოვნის სიარულით. ამ პრობლემის გასაცნობად მისულებს ადგილზე მართლაც მიმდინარეობს დაგეგმვა, გუმბათის ქვევით მცხოვრები მოსახლეობის ყველა ოთახში წყალი უნდა, ნესტმა გააფუჭა ახალგაკეთებული რემონტი, დარაც ყველაზე ცუდია არ იციან მომავალში რა იქნება და როდის გამოსწორდება კორპუსში მდგომარეობა.

ერთ-ერთი მაცხოვრებლის აღიონა კარტოხიას თქმით: „სანამ ამ გუმბათს დაადგამდნენ წყალი არ შემოგვდიოდა, დადგეს და წყალი ვინახობთ. ყველაფერი უხარისხია. მეორე სართულამდე ჩადის წყალი, დაგვიდა ყველაფერი. ორჯერ ჩამოვარდა კედლის ნაწილი და მადლობა ღმერთს არავის დაეცა. გვითხრეს დემონტაჟი ძვირი ჯდებაო, მაშინ მაინტერესებს ადამიანის სიცოცხლე რა ღირს? კიდევ ვის მიემართო?

ამის რემონტი უკვე შეუძლებელია. ჩვენი მოთხოვნაა, თუ ვერ არემონტებენ, გუმბათის დემონტაჟი მოახდინონ. დემონტაჟის მერობის დროს დაიდგა ეს გუმბათი არც არავის უკითხავს ჩვენივე გეგმირდებოდა თუ არა, ან ზედმეტს ვინ იტყოდა? წინააღმდეგობას ვინ გაუწევდა? მაშინ, როცა ეზოში გარაჟების ადგება დაიწყო ხმა ამოვიდეთ და მუნიციპალიტეტში დამიბარეს ყველაზე მეტს რატომ ყვირიხარო და ქმარ შვილით დამემუქრნენ. გარემონტებული ბინა მაქვს და ყველაფერი მიფუჭდება, ჩემგან კი სხვას უფუჭდება-მეთქი, შენი ქმრის ტელეფონის ნომერი მოგვეციო, ზეპირად არ მახსოვს-მეთქი, მაშინ ჩემი ქმრის, შვილის ტელეფონის ნომრები აქით მითხრეს, როდის გადიოდნენ სახლიდან, სად დადიოდნენ და თან გამაფრთხილეს ცოტა ფრთხილად ვყოფილიყავი. მიპასუხეთ რას ნიშნავს ეს თუ არა შანტაჟს?“

„3 წლის ბავშვი მეავს და მეორეს ველოდები, ასეთ ნესტში როგორ უნდა ვიცხოვროთ, ან ბოლო არ უნდა მოელოს ასეთ უყურადღებობას? ადგილობრივი მთავრობის წევრებს ხომ ვერსად მოიხელთებთ. ესენი არც ხალხში გადაიან და არც ხალხის პრობლემებით ინტერესდებიან. თვითონ მათ სიამოვნებთ ასეთი დანგრეული ფასადის ყურება?“. გვეუბნება ვახტანგ ფირცხალაიშვილი, რომელიც სწორედ ამ გუმბათის ქვედა სართულზე ცხოვრობს. მეზობლების გულისტკივილს იზიარებს იური ნაკვებიაც, რომელიც იმ პერიოდს იხსენებს, როცა გუმბათი დადგეს: „გუმბათი როდესაც მოიტანეს



მაცხოვრებლები გაგვფრთხილეს, რომ დაგვეცალა ბინები, რადგან შეიძლებოდა კორპუსი ჩამონგრეულიყო. დღეს კი გაუგებარია, როდესაც ქალაქის ცენტრში, ადგილობრივი ხელისუფლება კონცერტებს, შეხვედრებს მართავს და ზემოთ არც კი იხედებიან, ან არ უნდათ, რომ ამოიხედონ და პრობლემები დაინახონ. მართალია, წინა მთავრობის დროს დაგვადგეს თავზე ლამაზი ნაგებობა, მაგრამ ამავე დროს ამხელა პრობლემა გამოიწვია, როგორც სწავს არც დღევანდელ ხელისუფლებას უნდა ამ პრობლემის დანახვა და გადაჭრა“.

პრობლემაზე სასაუბროდ მისულ ქურნაღისტებს ზოგიერთი მაცხოვრებელი ძალიან აგრესიულად დაგვხვდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი ქალბატონი ვინმე ნინო, რომლის გვარი სავარაუდოდ ესებუა თუ მეფარიშვილი გახლავთ: „ისე მაქვს ფსიქიკა აშლილი ამათი შემხედვარე რომ შეიძლება ერთ დღეს მოგვკლა ვინმე ამ საკითხზე მოსული ადამიანი. ხან ქმარ-შვილის დაჭერით გვემუქრებოდნენ და ხან სამსახურიდან მოხსნით. ნორმალური მოგვიყვანე ვინმე ვისაც შეიძლება პასუხი მოვთხოვოთ და ჩვენ თვითონ მოვთხოვოთ პასუხს“.

ჩვენმა მცდელობამ, რომ მათი პრობლემის გასარკვევად და ამ პრობლემის გასაშუქებლად ვიყავით მისულები და არა რემონტის გასაკეთებლად, და ჩვენი ფუნქციაც და მოვალეობა მხოლოდ პრობლემის გაშუქება გახლდათ, აგრესიული ქალბატონი არ დააკმაყოფილა და უკვე პირად თუ პროფესიულ საჭიანობის შეურაცხყოფაზე გადმოვიდა. „თუ ვერაფერს აკეთებთ წადით აქედან, ენას ატლიკინებთ ტყუილად. თქვენ რამდენი ხართ ვინ იცის, რათ მინდა თქვენი დასურათება მე, ან თქვენი დაწერილი რამე რა იქნება, ან ვინ გაგაშვებინებთ თქვენ ამას. უსაქმურები ხართ, რას დადიხართ? ამბავიც ვერ მიგიტანიათ უფროსამდე, არ მინდა კიდევ შეურაცხოვა მოგაყენოთ, დროზე გამასწარიოთ აქედან“. თუმცა, უკვე მოგვაყენა შეურაცხყოფა. უკველ ჩვენი მისამართით არ დაიღალა შეურაცხყოფელი სიტყვებით შემკობას განრისხებული ქალბატონი. როგორც ჩანს ეს უკანასკნე

დასასრული 5- 33.

არამიზნობრივად განსჯული თანხები თუ მწკრივებისა და სპორტსმენების პირობების გასაუმჯობესებლად მოფიქრებული გაერთიანება?

რაგომ ენიშნა მათ სპორტსმენების ხელმძღვანელები სკოლის მომსახურებას?

დასაწყისი 3-33.

სახელობის კანონ კლუბის მისამართად საკრებულო მიითითებული. ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნული კლუბი 2012 წელს, წინასწარწევრად, საკრებულოს ზოგი წევრის ღირებულებით გაიხსნა და კლუბის ინვენტარიზაცია არსებული სკოლიდან მოხდა, რამაც ამ სკოლის თითქმის პარალიზება გამოიწვია, რადგან ინვენტართან ერთად სპორტსმენებიც გადაწვეტილდნენ.

მაია ჩხარტიშვილი, როგორც განმარტავს: „ბევრ კლუბს სახელი არასწორად ჰქვია, არის სკოლა და არა კლუბი. ჩვენ დღეისათვის გვაქვს მოლაპარაკება და, სავარაუდოდ, ისინი სკოლებად გადაკეთდებიან, რადგან კლუბის კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებენ. წინა მთავრობის პერიოდში შეიქმნა ეს კლუბები და კიდევ ბევრი სხვა წარმონაქმნი, ამდენად, უნდა გამოსწორდეს ის, რაც დაშვდა და არასწორად გაკეთდა. სპორტულ სკოლებში მიზნობრივად მიიღოდა ბიუჯეტიდან თანხები, მაგრამ არ იყო მინიტორინგი. შემოიღო ვისაუბრო მხოლოდ იმ ინფორმაციასა და ანგარიშზე დაყრდნობით, რაც სპორტის სკოლის ხელმძღვანელებმა მომიტანა და საიდანაც გამოიტანეს დასკვნები. ამ რეორგანიზაციის მიზანია, რომ ის სიკეთე, რაც მოაქვს სპორტს, მივიღო მხოლოდ და მწვრთნელად. თვითმიზანი მხოლოდ ფულის გამოთავისუფლება არ გახლავთ“.

სკოლის დირექტორები კი თვლიან, რომ გაერთიანება შეაფერხებს კლუბის თუ სკოლის განვითარებას, რადგან შეზღუდული უფლებების გამო, ხარისხიანად ვერ შეძლებენ მუშაობას და ეს ყოველივე შედეგებზე უარყოფითად იმოქმედებს.

ვიქტორ კრატახიუკის სახელობის კანონ კლუბის სას-

პორტო სკოლის დირექტორი აკაკი იოსავა როგორც ამბობს: „სპორტული სკოლები გაერთიანებული არასდროს ყოფილა, ყველა სკოლა ცალ-ცალკე მუშაობდა და გარკვეული წარმატებებიც გააჩნდა. გაერთიანების მიზნის იქნება ფინანსური პრობლემები. როცა შეჯიბრებაზე მიდიხარ, უნდა მიმართო სხვას. ვიდრე ის არ გამოიტანს თანხას, მანამდე მეორე ჯგუფის გასამგზავრებლად განაცხადების მიმართვას ვერ ასწრებ და ძალიან დიდი პრობლემა შეიქმნება. გაერთიანების მეთოდით ხელმძღვანელები ქუთაისში და შედეგები ძალიან დაბალი აქვთ. დღეს სკოლების დაშლაზე ფიქრობენ. საკრებულო უმრავლესობა ამ პროექტის წინააღმდეგია. ერთადერთი მომხრე მაია ჩხარტიშვილია. ერთი კვირა დავდიოდი და ვერ გაიგეს ჩემი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით? თქვენ გეკითხებით, რომელი ჯობს, თქვენ თქვენი ოჯახის უფროსი, რომ ბრძანებით, თუ სხვა რომ გბრძანებლობს. მე, რომ იქ ვაკეთებ და ვმუშაობ, დირექტორის დანიშნვის შემდეგ, რაც არ მეხება, ხელს არ ვაგანძრევ, ახლა მეხება თუ არ მეხება, მაინც ვაკეთებ იმიტომ, რომ ვიცი ჩემია და ჩემი ოჯახია. ჩვენი იურიდიული მისამართია აღმაშენებლის 12 (მერიისა და საკრებულოს შენობა) და ფიზიკურად ვართ ბესიკის ქუჩაზე, ყოფილი შრომითი რეზერვების ბაზაზე. ესაა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე არსებული შენობა. ამიტომ იურიდიულ მისამართს ვერ მივცემდით. ჩვენ იქ ვართ მდგომარეობა, წყალი არ გვაქვს და გაზი. შუქი შემოვიყვანე, მაგრამ გაზი ვერ შემომყვანს, რადგან აბონენტები ვერ ვხდებით. არაფერი არ გვაქვს, იმ შუქის

ფულს ჯიბიდან ვიხდი. შენობა ჩვენი არ არის და უფლება არ გვაქვს, ბიუჯეტიდან გადავიხადოთ კომუნალური გადასახადი. ეს არის არაკომერციული, არასამეწარმეო კლუბი, ოლიმპიური ჩემპიონის სახელი დავარქვით, თორემ იგივე სკოლაა. 56 ათასი ლარი გვაქვს დაფინანსება. 65 სპორტსმენი გვაქვს. ჩვენთან არის აკადემიური და კანოე-ბაიადარკა, რომელიც სხვადასხვა სახეობაა. 10 წელიწადია, 30 წლის ნაგებით ვსარგებლობთ და ერთი ნავი არ უყვიათ და ახლა იყვითლან? 4 ნავი ფედერაციამ მოგვცა, დანარჩენი ძველი ნაგებია, ვაწებებთ და ისე ვარჯიშობთ. როგორც ბურთის სახეობაა კალათბურთი და ფეხბურთი, ისე ეს სახეობებიც სხვადასხვაა. რადგან ნიჩაბი აკავშირებთ, ამიტომ ერთი სახეობა? როგორ უნდა გაერთიანდეს? ეს არ იციან და ვინც არ იცის იმისთვის, ძალიან ძნელია ახსნა. 11 თანამშრომელი ვართ. მაინტერესებს, სადაა და რატომაა შტაბები გაბერილი? ბუღალტერი არ ჭირდება, დამლაგებელი, მწვრთნელი, ექთანი თუ დარაჯი? დარაჯი თუ არ დავიყვანე, როგორ დავიცავ 1000 დოლარიანი ნავი და 3000 ევროიანი კატერი რომ მყავს? წარმატებებიც გვაქვს - შარშან ბავშვთა ოლიმპიადიდან მედალი ჩამოვიტანეთ, 40 სახელმწიფო გამოდიოდა და მე-14 ვიყავით. მეორე ბავშვი ფინალში მოხვდა, წელს მსოფლიოსა და ევროპაზე მე-5-6 ადგილები მოვიპოვეთ. ჩვენი ერთ-ერთი სპორტსმენი მსოფლიოში 17 საუკეთესო სპორტსმენის შორის მე-5 ადგილზეა. როდესაც ფედერაცია გაიყო და ნიჩბოსნობის სახეობები დაიყო, ჩვენ უფლება არ გვქონდა, არ გავყოფილიყავით, კომერციული სამეწარმეო უფლებით არ ვართ“.

გაერთიანების მომხრე არც ფეხბურთის სკოლის დირექტორია. ალექსანდრე ყვარუმიძის აზრით, სპორტის განვითარებისათვის ისედაც მწირია ბიუჯეტი და მოსალოდნელი გაერთიანება დადებითი შედეგის მომტანი ნამდვილად არ იქნება: „რასაც გადაწვეტს ქალაქი, იმას გადაკეთებთ, მაგრამ ერთ კითხვას დავუსვამ ქალაქის მესვეურებს - სჭირდება ეს სკოლები? მაშინ უნდა იყოს. არ ვარ გაერთიანების მომხრე, მაგრამ რას ვიზამ? სტადიონზე ჯერ არავინ მოსულა და არავის უკითხავს, რა მდგომარეობა მაქვს, რა გადაკეთება მიჭირს და რა პრობლემა მაქვს. სკოლას შესავსელები არ აქვს, არც წესიერი საბირფარეო გაგვანია. ბავშვები დამეფანტნენ მას შემდეგ, რაც დაფინანსება მომაკლდა, სტადიონზე ტალახია და ცუდ ამინდში ვერ ვარჯიშობენ, აბანო არ გვაქვს, ერთი წელი ხელფასი არ ამიღია და იმ მდგომარეობამდე მოვიყვანე მაინც, რასაც ხედავთ. დღეს ორი წლის წინ გადახარჯული ბურთები მივეცი ბავშვებს. ბიუჯეტი ნახევარი წლის წინ ამოიწურა. 250 ბავშვი გვაქვს და ბიუჯეტი 100 ათასი ლარია, აქედან 80 ათასი სახელფასო ფონდია. თუ ფეხბურთის განვითარებაზე საუბარი, მაშინ წელიწადში 300-400 ათასი ლარი უნდა იყოს დაფინანსება. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვარ, ფეხბურთში ფულის დასახარჯად მოვედი და არა საშოვნელად“.

ყვრემივე სკოლაში შტაბების საკითხსაც შეეხო. მისი განმარტებით ფეხბურთის სკოლაში არათუ გაბერილია შტაბები, არამედ სიმცირესაც განიცდიან: „რომელ წარმატებაზე და შტაბების სიმრავლეზე საუბარი, როდესაც ცუდ ამინდში სტადიონზე შესვლაც კი შეუძლებელია. რადგან მუშა არ გვაქვს და მინდორს თავად ვპარსავ. რომელ მწვრთნელს დავაგალო ამის გაკეთება, 200 ლარი აქვთ ხელფასი. თითოეულ თეთრს ვაკონტროლებ, რადგან ხვალ მე გამაკონტროლებენ. ჩვენ

ვემსახურებით „კოლხეთს“, მაგრამ კოლხეთი სულ არაა დაინტერესებული. იმნაც რა ქნას? თავადაც არ აქვს ფინანსები, თავი ძლივს გააქვს. თავად ქალაქს არ აქვს ინტერესი ფეხბურთის მიმართ. ბიუჯეტი რომ შევიმცირებ, ეს იგივე სკოლის დახურვას ნიშნავს. ისედაც 2 წელიწადში 20 ათასი ლარით შევამცირებ. სკოლაში ჩემი ჯიბის ფულით გამოვცვალე ფანჯრები, წყალი შევიყვანე, აბანო გავაკეთე. მე სპორტსმენი ვარ და მსურს, ჩემს ქალაქს ფეხბურთელები გაეუზარდოს“.

გაერთიანების მოწინააღმდეგეთა შორისაა კრივის სკოლის დირექტორი მურბენ ქიქვაძე. მისი განმარტებით, გაერთიანება სტიმულს დაუკარგავს სკოლების ხელმძღვანელებსა და მწვრთნელებს: „მე ჩემი ჯიბიდან წლების განმავლობაში 18 ათასი ლარი მაქვს დახარჯული ამ სკოლის გარემონტებაში. როდესაც უფროსს დამისვამენ, რათქმა უნდა, ჩემი ჯიბიდან არაფერს ვაგვიღებ. როცა სხვაზე ხარ დამოკიდებული, თავისუფლება შეზღუდული გაქვს და შენი ინიციატივით ვერ აკეთებ საქმეს. როდესაც მონდომება მოიკლებს, წარმატებებიც არ იქნება“.

სპორტული სკოლების გაერთიანების პროგრამა ჯერჯერობით დამტკიცებული არ არის. სკოლის დირექტორები იმედოვნებენ, რომ გაერთიანება არ მოხდება. მაია ჩხარტიშვილი კი ამბობს, რომ ეს გარდაუვალია.

როგორ განვითარდება მოვლენები და გაითვალისწინებს თუ არა ვინმე სკოლების დირექტორთა აზრს, მალე გავიგებთ და ჩვენს ამ თემას გაზეთის მომდევნო ნომერში მივუბრუნდებით.

რა გედი ელის უკანონოდ გაჭრილ საფლავებს?

„ხელისუფლება გაორკებულია და გათოვალ მდგომარეობაშია,“

ივანე პაჭკორია ფოთი

ფოთის გასასვლელში, სანაპირო ზოლთან, როგორც გაირკვა, წლების წინ მოსახლეობას თვითნებურად გაუჭრია სასაფლაო. აღნიშნული ტერიტორია ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გახლავთ. დღეს, როდესაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქალაქი საკურორტო ზონად გამოაცხადა და ამისთვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა დაიწყო, აღნიშნული საფლავიც აღმოაჩინეს. ცალკე საკითხია, რატომ არ იცოდა ადგილობრივმა ხელისუფლებამ წლების განმავლობაში ეკონომიკის ბალანსზე არსებულ ტერიტორიაზე რა ხდებოდა. დღეისათვის ქალაქში ფუნქციონირებს ოთხი ოფიციალური სასაფლაო, რომელსაც ხელმძღვანელობს

სპეციალურად შექმნილი ა(ა)იპ სამსახური. მერიის ხელამხედველობის სამსახურის უფროსი მიხეილ სარიშვილი როგორც ამბობს, წლების წინ მოსახლეობის მიერ არაოფიციალურად გაჭრილა სასაფლაო: „დღეისათვის ამ არაოფიციალურ სასაფლაოზე 38 შემოღობილი სასაფლაო არსებობს, არის აგრეთვე მიტოვებული საფლავებიც, აქვე დასაფლავებულია დევნილებიც. რადგან აქ უფასოდ იყო და არც არავინ აკონტროლებდა, ბევრმა მიიჩნია, რომ იქაც შეიძლება დასაფლავის გაჭრა. დღეს ქალაქის ხელმძღვანელობას გეზი აქვს აღებული ფოთის საკურორტო ქალაქად ქცევისკენ. იმის თქმა, რომ არ იცოდნენ, ვის ბალანსზე იყო მიწა და სასაფლაო გაჭრეს, ვე არაა მიზეზი. ახლა გაკეთდა სა-

ინფორმაციო ხასიათის დაფა, სადაც მიითითებულია, რომ დაკრძალვა აკრძალულია. მსგავსი ქმედება კანონით ჯარიმას ითვალისწინებს 500 ლარის ოდენობით. საუბარი, აგრეთვე, სასაფლაოების გადმოტანაზე. მართალია, ძალიან მტკივნეულია ეს საკითხი, მაგრამ სხვა გამოსავალი არაა. ამ ეტაპზე ამისგან თავს ვიკავებთ ისევე, როგორც ჯარიმის დაკისრებაზე, რა თქმა უნდა, ასახსნელად ძალიან ძნელია ეს ჭირისუფლისთვის, მაგრამ მეორეს მხრივ, ხომ უკანონოდ ვაკეთებთ სასაფლაო. ხელისუფლება გაორებულია და გამოუვალ მდგომარეობაშია“.

როგორც სარიშვილი ამბობს ამ საფლავების აღმოჩენისა და გაფრთხილების შემდეგაც მოხდა ახალი საფლავის გაჭრა. რომელიც ალბათ საგარეულოდ დაჯარიმდება. ეს თემა უფრო მეტად



მტკივნეულია საფლავის მეპატრონეთათვის. ჩვენ გავესაუბრეთ ერთ-ერთ ჭირისუფალს ლია ეჯიბიას: „იმედი მაქვს, ადგილობრივი ხელისუფლება გაითვალისწინებს ხალხის გულისტკივილს და გამოიჩენს იმდენ გულისხმიერებას, რომ საფლავები დარჩეს იმავე ადგილას. ეს ჩემთვის ჩემი

მშობლის ხელახლა გარდაცვალებაა და ჩემთვის ძალიან მტკივნეულია“.

რატომ ვერ მოხერხდა ავღრთო გუმბათის შეკეთება?

ჩამონგრეული გუმბათი, ავარიული მოზინადრეები და უმოქმედო ქალაქის მისკვეთები

დასაწყისი 3-33.

ლი ვერ ერკვევა ჟურნალისტის ფუნქცია-დანიშნულებაში და ჟურნალისტები ხელისუფლების წარმომადგენლებში აშკარად აერიო. როცა ვნახეთ ჩვენმა მცდელობამ იმისა, რომ გუმბათის შეკეთება ჩვენს ფუნქციებში არ შედიოდა შედეგი ვერ გამოიღო და „შეაყარე კედელს ცერცვის“ ბუტბუტით გაგვცალდეთ განრისხებულ ქალბატონებს.

ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებს, თუ პრობლემის მოგვარება არ უნდათ, რატომ ითხოვენ დახმარებას, თუ დახმარება უნდათ, რატომ აძლევენ თავს იმის უფლებას, რომ დახმარებისთვის მისულ ადამიანებს შეურაცხყოფა მიაყენონ. როგორც სხვანაირად მოზინადრეებს შორისაც არ არის ერთსულოვნება და ერთი მიზანიც არ ამოძრავებს.

აღნიშნულ პრობლემაზე სასაუბროდ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მშენებლობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, კეთილმოწყობის, ურბანული განვითარების, არქიტექტურისა

და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ზურაბ ჯამბურიას მივაკითხეთ: „ორი დღეა რაც უფროსის მოვალეობას ვასრულებ, ვერ ვიტყვი, რომ დრამად ვარ ამ საკითხში ჩახედული მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ როდესაც პირველად ჩამოინგრა კედელი ჩვენი სამსახური დაუკავშირდა სწორედ იმ სამშენებლო კომპანიას, რომელმაც ეს გუმბათი დადგეს. ამ საქმეში აქტიურად იყო ჩართული ფოთის მაკორიტარი დეპუტატიც, ჩამოვიდნენ მშენებლები, ჩამოიყვანეს ტექნიკა, მუშებიც მოიყვანეს. შევიკრიბეთ რამდენიმე სამსახურის უფროსები, ზური ვურუა, ლევან ჩოჩია, ბუთხუზი შონია, ბოლოს მერიც მოვიდა და ვეხვეწებოდით ჩამოვარდნილ კედელს გავაკეთებთ, ამ პრობლემის მოგვარებით დავიწყებთ, მაგრამ გუმბათის ქვევით მცხოვრებმა ერთ-ერთმა მოსახლემ შეკეთების უფლება არ მოგვცა. ახლა, რომ გაგაკეთებინოთ მერე ყურადღებას საერთოდ არ

მოგვაქცევთ, როგორც გავარკვეით გუმბათის კედლის ჩამოვარდნამდე ჩამოდიოდა წყალი კედლიდან. შეხვედრა ამ მოზინადრის სახლში შედგა, სხვა მოზინადრეებს არ შეხვედრილვართ. ჩვენ შევთავაზეთ იმ მოსახლეს თუ თქვენ გააკეთებთ თქვენი იყოს. მაშინ უნდოდათ და დღეს რა მოხდა? მესმის მათი ტივილი, მაგრამ ბოლობოლო იქ ყველა მოსახლეს პრივატიზებული აქვს ბინები, სახურავიდან დაწვეული სარდაფით დამთავრებული და საქმე საქმეზე მიდგება ყველა ფიქრობს, რომ მარტო კედლებია მისი და ყველა შექმნილი პრობლემა მერამ უნდა გადაწყვიტოს. მათაც შეუძლიათ რამეს მიხედონ, ან სახურავს, ან კედელს ეს ბინა ხომ მათია? ქალაქსაც არ აქვს ყველაფერს რომ გავწვდებოდა იმდენი ბიუჯეტი, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევისთვის ვცდილობთ გამოუნახოთ და მოვიძიოთ თანხები და შევაკეთოთ, მისი დემონტაჟი არ მოხდება, ეგ



გამორიცხულია“.

სარემონტოდ მშენებლების ჯგუფის მისვლას უარყოფენ აღნიშნული კორპუსის მაცხოვრებლები განსაკუთრებით ჯამბურიას მიერ დასახელებული პიროვნება. როგორც მან გვითხრა მას არავინ უნახავს ამის მოქმედი.

აქც გავრკვევლობას ვაწვდით, როგორც გავარკვეით ეს გუმბათი არცერთ მაცხოვრებელზე დაკანონებული არ არის. საკითხავია, მაშინ, ერთ მოზინადრეს რატომ შეხვედნენ და მის ნებას რატომ შეეწირა სხვა მოზინადრის ინტერესები.



ქალაქში მოხეტიალე პირუტყვი ფოთის მოუხვარებელი პრობლემა

გარკვეული ალინანაველი ფოთი

ვლდება, ფოთის ცენტრალურ ქუჩებში მოსეირნე პირუტყვის ებრძვიან, მაგრამ ეს პრობლემა კვლავ აქტუალური და მოუგვარებელია. მოხეტიალე პირუტყვის ნახვა ქუჩებში არაერთთვის გახლავთ სასიამოვნო, ამასთან ერთად ისინი ანაღვურებენ მწვანე ნარგავებსაც და შეუძლებელი ხდება მათი შენარჩუნება. ყველაფერი ერთად კი ქალაქის სილამაზეს და იერ-სახეს ამახინჯებს და უარყოფითად აისახება ქალაქზე. მსგავსი პრობლემით შეწყობილია ახალ რაიონში მცხოვრებამც დახმარებისთვის მოგვმართა. მისი თქმით, დასახლებაში გაშენებული მწვანე ნარგავები სრულად გაანადგურა პირუტყვმა. შევსწრებებარ იმ ფაქტსაც, როცა შუა ტრასაზე მდგარი ძროხის გამო ტრანსპორტსაც ვერ გაუვლია.

ფორმა და ამის მიხედვით მიმდინარეობს მუშაობა, თუმცა ხარვეზებსაც უსვამს ხაზს. ქორქია იმასაც ამბობს, რომ ქალაქში ამ კუთხით წესრიგის დამყარება მხოლოდ მათ სამსახურს არ შეუძლია, მასში ერთობლივად უნდა იყვნენ ჩართულები მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებიც: „ქალაქში წესრიგის დასამყარებლად 10 კაციანი სამსახური არ კმარა. უბანი ბევრია, პირუტყვი კიდევ უფრო მეტი. მათი რაოდენობა გაურკვეველია. მუნიციპალიტეტმა უნდა იცოდეს, უნდა იყვნენ აქტიურები, ხალხთან მივიდნენ, გაესაუბრონ, გააფრთხილონ. ამასთანავე ყველა საქონელს უნდა ქონდეს აღმრიცხველი ბირკა, უნდა იყოს დანომრილი. სიები უნდა ქონდეთ მუნიციპალიტეტებში, თუ ვის ყავს საქონელი. ეს არ არის ჯერჯერობით მოგვარებული. პირუტყვის დაჭერის შემთხვევაში საჯარიმო სასჯელი შეადგენს 50 ლარს, ხალხს ამის გადახდა უჭირს, რადგან რთული პერიოდია.“

ციენტრალური პარკის ადმინისტრაციაში სამსახურში არსებულ ფინანსურ პრობლემებზეც ისაუბრეს: „ამდენ პირუტყვს 10 და 12 ადამიანი ვერ დაიჭერს, თან ამისთვის თანხები საჭირო, თანამშრომლების რაოდენობის გაზრდაც და ხელფასებიც, მინიმუმ 30-35 ადამიანი მაინცაა საჭირო, რომ ქალაქში მოგვარდეს ეს პრობლემა 70 პროცენტით მაინც. ჩვენს სამსახურშიც თა-

ვიდანვე 30 თანამშრომელი მუშაობდა. ახლა შეგვამცირეს და დაგვტოვეს 10, თუმცა, მათთვისაც ერთი თვის ხელფასია მხოლოდ დარჩენილი. ამ ხალხს ფული და ტრანსპორტი თუ არ მიეცა, როგორ იმუშავენ? ახლა თანამშრომლები უფასო შეგებულებაში გაუშვეს, რადგან ბიუჯეტში არაა თანხები. ამ საკითხზე სასაუბროდ მარტო ჩემთან არ მოხვიდეთ, აქ უნდა იყოს ერთობლივად ჩართული მუნიციპალიტეტები. ერთადერთი კაცია დათო შონია ქალაქის მუნიციპალიტეტიდან, რომელსაც გულში შესტკივა და სულ ჩვენს გვერდითაა. დანარჩენის არც ზარი გამოვიდა და არც საქმე მინახავს. ისინიც უნდა აფრთხილებდნენ მოსახლეობას, რომლებსაც პირუტყვი ჰყავს, რომ არ გაუშვან ქალაქში. მაშინ ერთობლივად გამოვა საქმეც. მხოლოდ ჩვენი 10 კაციანი სამსახურით ფონს ვერ გავაღოთ. ადრე ხელშეკრულებით ტრანსპორტიც გვეყავა და ქიარავებული, ახლა ისიც არ გვეყავს, რადგან არაა საწვავი, ორი თვის განმავლობაში 50 ლიტრი საწვავი ვერა და ვერ მივიღეთ. უნდა იყოს ასევე საძოვრისთვის ადგილები გააყოფილი, უნდა ყავდნენ მწყემსი და მიაქცევს ყურადღებას, მაგალითად ყველა მოსახლემ თითო ლარი რომ



იყო მისული და ამ დროს დავატყვევით“.

როგორც ხედავთ არცერთ სამსახურს არ გააჩნია სტატისტიკა თუ რამდენი პირუტყვია რეალურად ქალაქში. ყველა მათგანი სხვადასხვა ციფრს ასახელებს, რამდენიმე დღის წინ, საზოგადოებასთან შეხვედრისას ქალაქის მერმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა და აღნიშნა, რომ ქალაქში 14 ათასი პირუტყვია, რაც მსმენელთა უმრავლესობამ არარეალურად ჩათვალა. ჯერჯერობით ჩვენს მიერ მოდიებული ინფორმაციით ქალაქში პირუტყვის რაოდენობა დაახლოებით 600-700-მდეა. ჩვენ ამ საკითხს კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით და გავარკვევთ სინამდვილეში რამდენი პირუტყვია ქალაქში.

ამონები თუ არა ეტიკეტს მომხმარებელი

მარიამ ალიხანაშვილი
ფოთი

რამდენიმე თვის წინ ამოქმედდა კანონი სურსათზე ეტიკეტების შესახებ. მისი მიზანია, მოსახლეობამ მიიღოს ინფორმაცია პროდუქტის შემადგენლობის შესახებ. დაფინტერესდით, მაღაზიებში არსებობს თუ არა ეტიკეტის გარეშე პროდუქტი და თუ კითხულობს მყიდველი ეტიკეტს, ამის გასარკვევად ფოთის ბაზარს ვეწვიეთ და ჩავწერეთ რამდენიმე მყიდველი და გამყიდველი. ერთ-ერთი ფორმის დისტრიბუტორმა ზაზა ფუტყარაძემ გვითხრა, რომ მის ფორმას, შპს დაფინარს ეტიკეტის გარეშე არაფერი შემოაქვს: „ჩვენ ვამოწმებთ ხეობებს, მურაბებს და ხეთის ხილს, ეტიკეტის გარეშე საქონელს ვერც შემოიტან, დაგაჯარიმებენ. პირველ ეტაპზე 500 ლარიდან იწყება. არა მგონია ვინმემ შემოიტანოს ეტიკეტის გარეშე საქონელი, ჯარიმის გადახდა არავის უნდა“.

მაღაზიის კონსულტანტი თონა გელენიძე როგორც გვეუბნება, გამყიდველი ეტიკეტსაც ამოწმებს და გამოწვევის თარიღსაც. ვადაგასულ პროდუქციას აგროვებენ ცალკე ყუთებში და ყრიან. მან ისიც აღნიშნა, რომ აქ მუშაობის განმავლობაში ეტიკეტის გარეშე მაღაზიაში არაფერი შემოსულა. სხვა გამყიდველებმაც თქვეს, რომ ამ კანონის შემოსვლის შემდეგ, ეტიკეტის გარეშე საქონელი აღარ შემოდის, მომხმარებელიც ამოწმებს ეტიკეტსაც და



ვადებსაც. ფრიად მოწესრიგებულნი აღმოჩნდნენ გამოკითხული მომხმარებლები ამ მხრივ. როგორც მათმა უმრავლესობამ გვითხრა, ყიდვის დროს ყველა ეტიკეტს კითხულობენ და ისე იძენენ პროდუქტს. ბაზრის დირექტორ თეა ბელქანიას თქმით, ადრე იყო უეტიკეტო საქონლის შემოტანის შემთხვევები, მაგრამ ახლა ნაკლებად: „შეიძლება მიკრული არ იყოს ეტიკეტი, მაგრამ საქონელში დევს ეტიკეტი და შემდეგ აკრავენ, კანონში წერია რომ თუ რომელიმე ინდემწარმემ იცის, ვისგან შემოიტანა და მომწოდებელი ვინც არის, პასუხისმგებელიც ის იქნება და დაჯარიმდება, ჩვენ ვამოწმებთ და უკვე აღარ შემოდის ეტიკეტის გარეშე საქონელი, მაგალითად სანტეს დისტრიბუციას ბრძანების სახით მოაქვს მაღაზიაში და აცნობს, რომ მის პროდუქციას ახლავს ეტიკეტი. რძის პროდუქტებს მოყვება ფორმა, სადაც წერია, რომ მისი არც ერთი პროდუქტია არ არის ეტიკეტის გარეშე, ფორმა ჩაბარდა ყველა ინდემწარმეს და აქედან გამომდინარე, რისკებიც ნაკლებია არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, ვინმე დაჯარიმებულიყო ამის გამო, რაც შეეხება მომხმარებელს, მეტ-ნაკლებად კითხულობენ შემადგენლობას, უფრო ჩამოსულები ითხოვენ, ვადებსაც, პროცენტულობასაც და შემადგენლობას“.

ყოფილ სტამბაში მსხოვრები სოციალურად დაუცველების პრობლემა ისევ მოუგვარებელია

მარიამ ჯაფარიანი
ფოთი

ფოთში თამარ მეფის №52 –ში ყოფილი სტამბის შენობაში მცხოვრები სოციალურად დაუცველების პრობლემა ისევ მოუგვარებელია. არსებული პრობლემის მოგვარების მოთხოვნით მათ არაერთხელ აქციაც კი გამართეს. ამჯერად მათ ჩვენ მოგვმართეს დახმარებისთვის. როგორც გავარკვიეთ ამჟამად აღნიშნულ სახლში სოციალურად დაუცველები 6 წლის წინ შეასახლეს. სულ პირველად კი წლების წინ დევნილები ცხოვრობდნენ. ახალი საცხოვრებელი კორპუსების აშენების შემდეგ აქ მცხოვრები დევნილების ნაწილი გადაიყვანეს ახალ დასახლებაში, რის შემდეგაც გამონტავის უფლებულ ფარტებში სოციალურად დაუცველები შეასახლეს. როგორც აღნიშნული შენობის მოსახლეები ამბობენ შემოსახლების პერიოდშიც ამორტიზირებული იყო შენობა და რეაბილიტაციას საჭიროებდა, მაგრამ მის მერე წლების განმავლობაში არაფერი გაუკეთებიათ ამ პრობლემის მოსაგვარებლად. როგორც ისინი ამბობენ ადგილობრივ ხელისუფლებას რამდენჯერმე მიმართეს დახმარებისთვის, მაგრამ უშედეგოდ.

ადგილზე მისულებს მართლაც სავალალო მდგომარეობა დაგვხდა. მათი თქმით: „გამოსაცვლელია სახურავი, შენობის ფასადი მთლიანად შესაცვლელია, უკანა აივანი ჩამონგრევის პირასაა, ჭერიდან ბათქაში ცვივა და ყოველწუთს შეიძლება უბედურება დატრიალდეს. ამ სახლში ძალიან ბევრი ჩვილი ბავშვი ცხოვრობს და ასეთ პირობებში განა შესაძლებელია ცხოვრობდე? მაგრამ სად წავიდეთ წასასვლელი არსადა გვაქვს. გაუმართავია კანალიზაციის სისტემა, ელექტროსადენებიც გამოსაცვლელია, ისე გადახლართულია ერთმანეთის, რომ შეიძლება ხანძარი გაჩნდეს. ადგილობრივ ხელისუფლებას რამდენჯერმე მივმართეთ თხოვნით გაეწიათ დახმარება შენობის გადასურვას და ფასადის შეცვლას, მაგრამ ამაოდ“.

მეზობელს მხარი აუბა მეორე მოსახლემაც: „2012 წლის არჩევნებამდე 13 ოჯახს საკუთრებაში გადამოგვცა ფართები. დანარჩენი 5 ოჯახი დევნილები არიან და დღესაც კუთვნილი ფართის მიღებას ელოდებიან. არჩევნების წინ ადგილობრივი ხელისუფლება დაგვიპირდა გარემონტებას, ოღონდ ხმები მიგვეცა მათვის, მაგრამ არჩევნებმა ჩაირა და დაპირება დაპირებად დარჩა. ახლა კი გვეუბნებიან, რომ შენობა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. საარჩევნოდ კი შევედით მხოლოდ დაპირების დარიგება“.

ყოფილი სტამბის შენობაში შესახლებულებმა ქონების მართვის სამინისტროსთან შუამდგომლობის გასაწევად დახმარებისთვის სახალხო დამცველს მიმართეს. ისინი ასევე ითხოვენ იმის გარკვევას რეალურად თუ ვის ეკუთვნის აღნიშნული შენობა. იმედია შესაკუთრებიც გაირკვევა და სტამბის შენობის მაცხოვრებლების პრობლემაც მოგვარდება.



განცხადება

2016 წლის 5 იანვარს, 11:00 საათზე, ქ. ფოთის მერიის შენობაში (მისამართი: ქ. ფოთი, ალფანავაძის ქ.012), და 5 იანვარს 14:00 სთ-ზე ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: ქ. ხოზი, სოფნე დადიანის ქუჩა 0189) გაიმართება ქალაქ ფოთის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების გამწვანელი ნაგებობის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის ბარათზე ზამთრის დროის შეწყვეტის ანგარიშის საჯარო განხილვა. დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ხოზის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის საზღვრებში ქ. ფოთის ბიოლოგიური გამწვანელი ნაგებობის მშენებლობა, რომლის ოპერირება უზრუნველყოფს ქ. ფოთში ნარეკომილი საკანალიზაციო წყლების ნორმატიულ დონეზე განწმენას. საზოგადოებრივობის ნარეკომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვის საშუალება ექნებათ შუამდგომლობის მიმართვაში:

ქ. ფოთის მერია ქ. ფოთი, ალფანავაძის ქ. 12;

ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობა - ქ. ხოზი, სოფნე დადიანის ქ. 0189);

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია-ს ტექნიკური ოფისი - ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი 76ბ.

გთხოვთ, ნაკრძალში შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

ქეთევან ჩომახიძე. ტელ: (995 577) 38 03 09; (995 32) 2919060; -mail: chomakhidzek@yahoo.com ;

ჯუღული ანვლიანი. ტელ: (995 595) 59 52 55; (995 32) 2601527; -mail: j.akhvlediani@gamma.ge.

საზოგადოებას საქართველოს მოსახრებების ნარეკომადგენელთა შექმნილ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია-ს ადმინისტრაცია

სამხარეულო

პიცა სახლის პირობებში

წარმოვიდგინოთ მარტივ რეცეპტს პიცის სახლის პირობებში მოსამზადებლად. პიცის მოყვარულები გულგრილი არ დარჩებით.

პიცა სახლის პირობებში

რეცეპტის ინგრედიენტები:

- 2,5 ჭიქა ფქვილი
- 1 ჩ/კ მშრალი საფუარი
- 1 ჩ/კ შაქარი
- 100 მლ. წყალი
- 1,5 ს/კ მცენარეული ზეთი
- მესამედი ჩ/კ მარილი
- 2 ცალი ქათმის ფილე
- 1 თავი ხახვი
- 2 ცალი პომიდორი
- 10 ცალი სოკო შამპინიონი/ჭამა
- 1 ცალი ბულგარული წიწაკა
- 3 ს/კ ტომატის სოუსი
- 200 გრ. ყველი მოცარელა
- 150 გრ. მაგარი ყველი

მომზადების წესი

- გააღვდეთ საფუარი თბილ წყალში.
- ჯამში ჩაყარეთ ფქვილი, დაამატეთ მარილი, შაქარი. მოასხით გამლგალი საფუარი და მცენარეული ზეთი. შეურიეთ და მოხილეთ ცომი.
- დაამრგვალეთ ცომი, გადააფარეთ სუფთა ნაჭერი და დადეთ 1 საათი, სანამ ცომი კარგად არ ამოვა.
- ამასობაში ქათმის ფილეს ნაჭრებს მოაყარეთ მარილი და წიწაკა, სწრაფად შებრაწეთ ზეთში ყველა მხრიდან და შემდეგ შედგით ღუმელში, სანამ ბოლომდე არ მომზადდება. ბოლოს, გააგრილეთ და დაჭერით პატარა კუბიკებად.
- ამოსული ცომი გააბრტყელეთ და გადაიტანეთ საცხობ ლანგარზე(მოაყარეთ ფქვილი). წაუსვით ზემოდან პამიდორის სოუსი, მოაყარეთ გახეხილი ყველი მოცარელა. ზემოდან ლამაზად მოაწყვეთ დაჭრილი ქათმის ფილე, დაჭრილი სოკო და ხახვი, პომიდორი და მწვანე ბულგარული წიწაკა.
- პიცას მოაყარეთ გახეხილი მაგარი ყველი და აცხვეთ 15 წუთის განმავლობაში წინასწარ 200° C-მდე გახურებულ ღუმელში.



ის სპორტული

რომელ წლებში დაბადებულები აღწევენ იოლად ნარმატებებს პირად ცხოვრებასა და კარიერაში

ჩვენი ხასიათი ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მაგალითად, დაბადების მომენტზე, წელზე, საათზე, განათლებაზე, საგვარეულო ტრადიციებზე და ასე შემდეგ. ასევე, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომელიც ცოლქმრული ურთიერთობის განვითარების ძირითადი მიმართულების განმსაზღვრელია, მაინც მეუღლეთა დაბადების წელია.

აღმოსავლური ასტროლოგიის თანახმად, ვეფხვის, ცხენისა და ძაღლის წელიწადში დაბადებული მამაკაცები აღიქმებიან როგორც ძლიერი პიროვნებები, ქალები კი - კეთილშობილები. ვირთხის, გველეშაპისა და მაიმუნის წელიწადში დაბადებული მამაკაცები, უცნაურები არიან, ხოლო - ქალები დამოუკიდებლები. კატის, თხისა და ტახის წელიწადში დაბადებული მამაკაცები სიმშვიდით, ხოლო ქალები - პრაგმატულობით გამოირჩევიან. ხარის, გველისა და მამლის წელიწადში დაბადებული მამაკაცები ენერჯიულობით, ქალები კი - მეომრული სულისკვეთებით ხასიათდებიან. ვირთხის, გველეშაპისა და მაიმუნის წლებში დაბადებული ძალიან მოუსვენარნი და უცნაურები არიან. ვერ თავსდებიან საზოგადოებისთვის მისაღებ ჩარჩოებში. ხშირად სიყვარულში პრაქტიკულ და სასარგებლო რჩევებს იძლევიან, თავად კი საღი აზრით ან მკაცრი ლოგიკით არ ხელმძღვანელობენ. არასდროს ზღუდავენ საყვარელ ადამიანებს და სრულ თავისუფლებას აძლევენ მათ. ამ წლებში დაბადებულებს ცოტა უჭირთ რეალურ ცხოვრებაში ორიენტირება. თუმცა, ნებისყოფის წყალობით, ადვილად აგვარებენ პრობლემებს და სირთულეებს. ბუნებით მშვიდნი საკუთარ მიზნებს, ნელ-ნელა, ეტაპობრივად ახორციელებენ. თუმცა, ხშირად, გარშემო მყოფების თვალში უნებისყოფო ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

ვეფხვის, ცხენისა და ძაღლის წელიწადში დაბადებულები უკეთ ერკვივიან ცხოვრებისეულ საკითხებში, ვიდრე სასიყვარულო ურთიერთობებში. მათთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება იოლი არ არის. თუმცა, უზომოდ აქვთ განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც დადებითად მოქმედებს მათ ოჯახურ ცხოვრებასა თუ რჩეულთან ურთიერთობაზე. არიან რომანტიკელები, ამოუცნობები და ოპტიმისტები. ცდილობენ, თავიანთ სასიკეთოდ „გადააკეთონ“ საყვარელი ადამიანები და ეს გამოსდით კიდევ! ხშირ შემთხვევაში, ამ წლებში დაბადებული ადამიანების სასიყვარულო გზა, იმედგაცრუებითაა სავსე.

ხარის, გველისა და მამლის წელიწადში დაბადებულებისთვის დამახასიათებელია სიმკაცრე და ხშირი კონფლიქტები. არ უყვართ გადაჭარბებული ქება ან კრიტიკა. შეუძლიათ, თავი ნებისმიერ სფეროში გამოიჩინონ. უყვართ არაორდინარულ ადამიანებთან სასიყვარულო კავშირის დამყარება. ისინი საკუთარ რჩევებს ყოველთვის აღმერთებენ, სანაცვლოდ კი, დიდ სიტბოსა და ერთგულებას იძლევენ. ცხოვრებაში გამუდმებით ძიებაში არიან.

კატის, თხისა და ტახის წელიწადში დაბადებულები იდუმალი სილამაზითა და შარმით გამოირჩევიან. არ შეუძლიათ, დიდი ხნით იწვოდნენ სიყვარულით. თუმცა, საყვარელ ადამიანს ამას არ აჩვენებენ. პირად ცხოვრებასა და საქმეში წარმატების მისაღწევად ყოველთვის ითვალისწინებენ გარშემო მყოფების, ასაკოვანი და გამოცდილი ადამიანების აზრს. აინტერესებთ, რას ურჩევენ სხვები. ამის ხარჯზე კი, პირად ცხოვრებასა თუ კარიერაში ადვილად აღწევენ წარმატებებს.

სპორტი

საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ

ჭიდაობაში

6-8 ნოემბერს თბილისში ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1999-2001 წ.წ. დაბადებულთა შორის, მსოფლიო ჩემპიონის მიხეილ სალაძის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქების ნაკრებმა გუნდებმა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ტურნირზე წარმატებით იასპარეზა ფოთელმა მოჭიდავემ გია კუჭავამ, რომელმაც 46 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა მე-2 საპრიზო ადგილი, რომლის წვრთნელი ავთანდილ კუჭავა გახლავთ.

ღია პირველობა აკადემიურ ნიბოსნობაში

რამდენიმე დღის წინ მცხეთაში საქართველოს საშემოდგომო პირადი პირველობა აკადემიურ ნიბოსნობაში გაიმართა, სადაც წარმატებით იასპარეზეს ფოთის კომპლექსური სასპორტო სკოლის სპორტსმენებმა. IX500 მ. ზურაბ კინტირია - I ადგილი - 2000 წ. დაბადებულთა შორის IX2000 მ. ზურაბ კინტირია - I ადგილი - 2000 წ. დაბადებულთა შორის 2X500 მ. ორიანი წყვილმოსასმელიანი - საბა პატარია, სანდრო ლომინაძე - II ადგილი - 2001 წ. დაბადებულთა შორის.



ზუგდიდის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

გასულ კვირას ზუგდიდში თავისუფალ ჭიდაობაში 1999-2000 წ.წ. და 2002-2003 წ.წ. დაბადებულ ჭაბუკებს შორის ზუგდიდის ღია პირველობა ჩატარდა. პირველობაში მონაწილეობა მიიღო 10 გუნდმა, სულ 100-მდე მონაწილემ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფოთის გუნდმა წარმატებით იასპარეზა და 2 პირველი, I მეორე და 4 მესამე ადგილები მოიპოვა. I ადგილებზე საბა გადელია - (38 კგ წონითი კატეგორია), ლუკა გადელია - (58 კგ წონითი კატეგორია) გავიდნენ, I I ადგილი შოთა სტეფანოვამ - (29 კგ წონითი კატეგორია) დაიკავა, I I I ადგილის ფელოლები საბა კუმარტოვი - (26 კგ წონითი კატეგორია), ზვიად ჯალაღონია - (32 კგ წონითი კატეგორია), ლაზარე გადელია - (50 კგ წონითი კატეგორია), ადენი კუმარტოვი - (59 კგ წონითი კატეგორია).

ფოთის ღია პირველობა რაგბში

11-15 ნოემბერს ფოთში „პარკი არენა“-ს სარაგბო სტადიონზე ფოთის ღია პირველობა რაგბში 2001-2002, 2003-2004 წ.წ. დაბადებულ მორაგბეთა შორის გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის „აია“-ს, ტყიბულის, საჩხერეს, წყალტუბოს, ქუთაისის „ბაგრატის“ და ფოთის ნაკრებმა გუნდებმა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2001-2002 წლებში დაბადებულთა შორის წარმატებით იასპარეზეს ფოთელმა მორაგბებმა, რომლებმაც ტოლი არ დაუდგეს თავიანთ თანატოლებს და მოიპოვეს გამარჯვება ყველა მატჩში და ღირსეულად დაიკავეს პირველი ადგილი. მეორე ადგილი წილად ხვდათ ქუთაისის „აია-2“ გუნდს, ხოლო ქუთაისის „აია 1“ დასჯერდა მესამე ადგილს, რაც შეეხება 2003-2004 წ.წ. დაბადებულ მორაგბეებს, სადაც გაიმართა საფესტივალო მატჩები. აქაც ფოთელმა მორაგბებმა ღირსეულად იასპარეზეს და ყველა ასპარეზობაში მოიპოვეს გამარჯვება.

გ ა ნ ს ხ ა დ ე ბ ა

სოფელ მენჯუი გვანაჭირია პირიქნება (ან ოჯახი), რომელიც გაუძლიერდა სოფლის მუხრ-ნოვასა და მოუვლის კარ-მიღამოს.

საქონებათო ტელ: 577 41 16 32

